


# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იუოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (დუკ. 15—4).

მოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5

1883-1891

15 მარტი.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :			
«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თოვით . . . . .	5 მან.	12 თოვით . . . . .	6 მან.
6 — . . . . .	3 —	6 — . . . . .	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით  
 ვაჰ. ჰვირალი, В. პ. რედაქციო „Мисси“ и „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელიც იქნებოდა დასაბუქდავით გამოგზავნილი ვრცელად და გასაგებად უნდა იყენებ ავტორთაგან ხელ-მოწერილი. სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაისი ხარჯით უკანვე დაბრუნდეს. სტატიები მიიღებოდა რუსულ-ს ენაზე დაწერილი და თარგმნით დაიბეჭდიან.

## სასულიერო მახარებელი საქმესაროსოდა

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული ჟურნალი სასულიერო მახარებელი საქართველოს საეკლესიო სასახისათვის. ყოველ ახალ გამოცემას დიდის სიხარულით და აღტაცებით მივებებთან ხოლმე არსებული გამოცემანი. რასაკვირველია, სასიამოვნოა ახალი ორგანოს დაარსება, თუ ამ ორგანოს მიზნად აქვს აღებული მეცნიერების გავრცელება. ხალხის კეთილ დღეობა, გაჭირებულთა შემწეობა, უსამართლოების დგენა და სიმაართლის ქადაგება, ფარისევლური და იეზუიტური მრუდე აზრების მხილება და სხვა და სხვა და სხვა... სასიამოვნოა.

მოგონა არსებულ გამცემთათვის, როდესაც ტოლს ამხანაგს, სამიედო მეგობარს და თანამომეს დაინახვენ ცხოვრების სარბიელზე გამოსულს. ამისთანა გრძობა ამ ახალი გამოცემის შესახებ ჩვენში ერთი ორად მეტი არის, რადგან ჩვენ მთელს საქართველოში ერთ მოძმეს, ერთს ამხანაგს ვერ ვხედავდით დღემდის. შენიშნულია, რომ საეკლესიო წოდების ჟურნალ-გაზეთები დიდად არ ზრუნვენ სასულიერო საქმეებზე, ხან ნებით და ხან უნებლიეთაც, როდესაც სასულიერო და საეკლესიო საგნებზე დაიწყებენ მსჯელობას, შემცდარს აზრს ავრცელებენ. ერთის მხრით, იგინი, ასე ვთქვათ, მკითხველს გზა უწოდებენ, ხოლო მეორეს მხრით კი სრულებით გზას უბნებენ..

ამისთანა დროში მოძმის შეძენა, რასაკვირველია, ფრიად სასიამოვნო არის. ჩვენს ფარისევლურ დროში, მართალია, ექვის თვალთ უყურებენ და სულ სხვა ნაირად ესმისთ გაზეთების მიგებება ახლად გამოსული ორგანოსადმი. მაგრამ ამისთანა ეჭვებს იქ აქვს ნიადაგი, სადაც ორგანოები გატაცებულნი არიან უმთავრესად შემოსავლით და არა სხვა კეთილი იდეებით და აზრებით. და ამისთანა ეჭვს ჰბადავ: მკითხველ საზოგადოებაში ზოგიერთი გაზეთების უმართლოდ და უსაფუძვლოდ გალაშქრება მეორე გაზეთზედ, იმისათვის მხოლოდ, რომ ერთის მოსპობით მეორემ ისარგებლოს. სამწუხაროდ დღეს იმისთანა მწერლებსაც შობენ, რომელთაც მოსყიდვით როგორც გინდათ, ისე აწერინებთ და ააღაპა რაკებთ. აქებინებთ არა საქებს და აძაგებინებთ არა საძაგებელს...

მკითხველი საზოგადოება, ჩვენის აზრით, დარწმუნებელი უნდა იყოს, რომ ჩვენი გამოცემა ამისთანა უმგებანო აზრებს და მიზნებს სრულებით განშორებულია. ჩვენ არასოდეს არ გვქონია სახეში ჟურნალ-გაზეთის მეოხებით კეთილ-დღეობა და კეთილი ცხოვრება მოგვეპოვებინა. იყო დრო და დღესაც არის, რომ უმაღლესი და უმეტესი შემოსავლიანი ადგილი შეგვექონა, მაგრამ ჩვენ ეს მიზნად არასოდეს არ გვქონებია და არც გვაქვს. ჩვენი მკირე ადგილი და ჩვენი სოფლის მღვდლის წოდება არ გავსცვალეთ უმაღლეს და უმჯობეს ადგილზედ. ეს ვგონებ ყველასათვის ცხადია და დამტკიცება არ უნდა...

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ახალი სასულიერო ოფიციალური ორგანოს დაარსება კიდევ სულ სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო. ცხადია შენიშნულია, რომ ფარისევლური სიმყავე ერთობ გამჯდარი აქვსთ ძვალსა და რბილში ზოგიერთებს. თავის ქება და ტრაბახობა, მთავრობის მოყვარება, ზარბაცობა, უქმის მეტყველება, მრუდე მსჯელობა, ორ პირობა, თვალთ მაქცობა, გაიძვერაობა, პირფერობა, მწაგერელობა და სხვა და სხვანი ერთობ გავრცელებულია ეხლანდელს დროში. ამისთანა დროში, რასაკვირველია, დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ოფიციალურმა ორგანომ კაცობრიობას და გაბედულად ამხილოს ყველა ამისთანა ცუდი საქციელისათვის.

საქართველოს ხალხსა და სამღვდლოებაში

ბევრი ძველებური წესწყობილებანი და ჩვეულებანი არიან კიდევ დაშთენილნი, რომელთა მოსპობას კი არა, ყოველ ნაირ ზომას უნდა ეხმარობდეთ, რომ ეს წეს-წყობილებანი უფრო დიდს ხანს დაშთენ. ამ ძველ ჩვეულებათა წყალობით მიყრუებულ სოფლებში ხალხის სარწმუნოება, ეკლესიური წესების აღსრულება, შრეველთა და მღვდელთა შორის დამოკიდებულება სწორედ პირველ ქრისტიანეთა დროს წა-მოგვიდგენს. სამწუხაროდ, ყველა ამისთანა ძველი ჩვეულებანი თან და თან ისპობა და მათ მაგიერად უმჯობესი არ არსდება. მოთხოვნილი საქიროება საქართველოს სამღვდლოებისა, ეკლესიისა და ხალხისა მრავალ გვარია. ამისთანა შემთხვევაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ოფიციალურ გამოცემას, რომელსაც გაბედულად შეუძლია აღიმადლოს ხმა თვისი და წარმოსთქვას თავისი აზრი...

პი რისთვის ვეგებებით ჩვენ ამ ახალი სასულიერო ჟურნალის დაარსებას ჩვენს საქართველოში დიდის სიხარულით. დღერთან ინებ-ს ჩვენი იმედები აღსრულებულიყოს.

ს ი ვ რ ც ე გ ა ზ ე თ ი ს ა .

ჟურნალი შესდგება 48 გვერდისაგან და თითქმის სინოდის გამოცემის ტოლა არის. დაბეჭდილია ე. ხელაძის სტამბაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი .

მთვითალურ ნაწილში მოქცეულია შემდეგი რედაქციის სიტყვა:...

საჭიროება საკუთარს დაბეჭდალს ორჯანოში, რომელიც გამოსურებოდეს საქართველოს საეკლესიო კავისიუზს ინტერესებს, დადა ხანა ნატონობა უკლავსაგან. საქართველოს სამღვდლოებამ ერთხმად წამოსთქვა ამას შესახებ თავის ჳზნა, ამ სამის წლის წინად, საკმარისი კამეზზე. აქ გამოთქმული იყო, რომ უკეთუ თვითოეულს რუსეთის ეპარხიას აქვს თავისა საკუთარი დაბეჭდილი ორჯანო, მსგავსად «საეპარხიო უწყებისა», მაშ რატომ ამისთანავე არ უნდა ჳქონდეს საქართველოსათ, რომელად შესდგება მთელის სუთის ეპარხიისაგანა.

რამდენიმე კეძო შარი ადგილობრივის სამღვდლოებიდან კიდევ შეეცადა დამსახურებოდა ამ მსრით მამულის საჭიროებას და სარგებლობას გამოცემითა

განსაკუთრებული სასულიერო დაბეჭდილის ორღანოებსა, მესამოცე წლებში ამ ხარისხი ცნა ეკუთვნის მ. დეკანოზს გ. ხელძქის, რომელმაც ხელი მჭყო გამოცემის სასულიერო უწყისადს, სასულიერო მხარეებისად, ხოლო ბოლოს ამ უგანსიხედეს მათე წლებში ამ. გ. ჭიჭინაძის დამატებით. დეკანოზი დ. დამბაძის, რომელმაც კიდევ გამოცემა «მწუკის» ქართულს ენაზე და «პასტირია» რუსულზე, რომელში შირველს, ისე მეორე გამოცემის არ. პეტროს ლეწის და სამსახური მიუძღვის თავს მამულის წინაშე, მეტად რე შირველსა, დაუჩინებელს სწულებით მტრინერულად და საგნის შესაფერად გამოცემის მ. დეკანოზი ხელიძისას შეეძლო მაღალი დიდას ხანს გაეწივა სასახურა მამულის საჭიროებასათვის; მეგრებში, სასახურად, ამიტომ თუ რომ ეს იყო მეტის-მეტი სამეცნიერო და ამის გამო არ ეთანაშესაბამებოდა ადგილობრივ დროთი ჩითხველს, ან თუ იმით, რომ ვერ მოიპოვა შემწევობა და დახმარება იქ და იმ მხარეებში, სადაც ხანს საჭირო იყო ეს აღმოსახიერა მას, მანცა და მანცა, სამწუხაროდ შეეძლო სასულიერო განათლების მათე რე-თათვის, ბოლოს ეს გამოცემა შესწყდა.

უფრო მომეტებული განცხადებები იყო რომ გორც სამღვდელთების, ეკრესიის ადგილობრივი სასულიეროების მოძრა, გამოცემა მ. დეკანოზის დამატებით. «მწუკის» და «პასტირია». ეკლეზია არ არის, რომ შედარებით მომეტებული ამ გამოცემის გავრცელებასზე გავლენა ჭკონდა იმის, რომ ამ გამოცემის მეტად მანამ შირველში, ეკრესიის დიდი ადგილი განკარგულა, ადგილობრივი მოსახრობის, მათე და ამ ხარისხი მომეტებული «მწუკის» და «პასტირია» ეს უწყისა: არ მეტად და განსაკუთრებით ადგილობრივი საეკლესიო ორღანოდ განსაკუთრებით ამის გამო, რომ ეს გამოცემა არა ქ. ტფილისში, რომელიც მეტად რე მუხუდს უსაღვრესად საეკლესიო სასულიერო საზოგადოებას, რომელიც და ეკრესიის, ქეთისის ოლქში და მსთან იმ შირველში, რომელიც ტფილისში და ბათუმში მთავრობის მათე ცენტრებს.

მეტიველიც და აღსრულებს მოვლელს სას. დეკანოზებს უძღვრებას მთავრობისად, მოვლელს საქართველოს სამღვდელთების სწავლასა და რედაქცია გამხრეველად გულწრფელად სწულებით, თავის მეტად მან და ცოდნისა: დაკარგა, სასახურა გუბერნიის სასულიერო საეკლესიოების, მათის და და ამეღებულა, რომ მოიპოვა თის უზრუნველ და დამატებით ქართულ საზოგადოებასათვის; ხოლო განსაკუთრებით ეს დიდი იმედი ექნა იმ საქართველოს შვილიშვილს, რომელიც მიუღიანთ მაღალი საღვთის-მეტეველთა განთავება ხუკის სასულიერო აკადემიაში და რომელიც, რომელიცათე ჭკონებს რედაქცია, ხსენებით ვაღებულნი არის შეეძლო მეტად და განსაკუთრებით მათე სამეცნიერო შირველში განსაკუთრებით შესაძლებელია ადგი-

ლობრივი საეკლესიო საეკლესიო და სამშობლო მხარის; ისტორიისა. \*)

შემდეგ არიან დაბეჭდილი უფ. სინოდის უქანები და განკარგულებანი შესახებ სამრევლო სკოლის მასწავლებლობის წოდების მიღებისა. კანონები ამ გამოცემაზე და უქანი ძველი ნაშთების დაცვის შესახებ. რომელიც ჩვენს უკანასკნელს რუსულს გამოცემაში იყვენ დაბეჭდილი, მათე ვარდა არის მოყვანილი სია ყველა მღვდელ მთავართა რუსეთის იმპერიაში და სხვა და სხვა ცელოლებანი როგორც რუსეთში, ისე ჩვენს საქართველოში ქართლ-კახეთის ეპარქიაში. არა ოფიციალურ ნაწილში არიან დაბეჭდილი: სიტყვა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებსობის საქართველოს ეკლესიის მაღალად, ახალ წელს წარმოუქმული, შესხმა თქმული სემინარიის რექტორის არქ. ნიკოლოზისა განსაკუთრებულს საქართველოს მასწავლებლის რედაქციის კურთხევის დროს, სტატია თბილისის სემინარიის ინსპექტორის ნიკანორისა პატრიარქ ფოტიზელ და სტატია ანტონ I, ქათალიკოზი საქართველოსა და მთავრებისკაბოსის ვლადიმირისა და იაროპოლსკი ა, უ. ჟორდანიანი. სხვა და სხვა აზრები და განცხადებანი.

„Кавказ“ - ში და «НОВ. СВѢТ.» ში გააჩინეს ეს ახალი ყურნალი და თავისი მხრით გამოისტევეს: «ეს ყურნალი ისეა გამოცემული, რომ მეტის სურვილი აღარ შეიძლება». ამ განხილვას, რასაკვირველია, მეტის თქმა არ შეეძლო, რადგან მათ ძლიერ ცოტა უწყინ ჩვენი სასულიერო უწყისი დიდი და კარგი. მაგრამ ჩვენი, რომელიც სულთ და გულთ ვესურს ცეთილ-ლეობა და წარმატებ ყველა სასულიერო გამოცემათა საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენი ახალი ოფიციალური ორგანიისა. არ შეეცილია, ორიოდ სიტყვა არ გამოვსთქვათ საზოგადოდ ეპარქიალურ გამოცემათა შესახებ და განსაკუთრებით ამ ახალ გამოცემაზე.

(დ. ხელძქისა მამულისა)

\*) შეუცვლელად ვეჭვავთ რედაქციის სიტყვას. განსაკუთრებით «Кавказ»-ში და «НОВ. СВѢТ.» ში გამოცხადებული იყო, რომ სასულიერო მასწავლებლის ქართულ განყოფილებაში მონაწილეობას მიღებს დეკანოზი გ. ხელძქი. ამასთან, რომ ამ განყოფილებაში მონაწილეობა იღებს მ. თ. ჟორდანიანი, სემინარიის ქართული ენის მასწავლებელი. ძლიერ გვაკვირვებს, რომ ასე ცუდი უნთ მთარგმნის სტატია როგორ გაუშვეს და ისიც ახალი ყურნალის I-ს ნომერში. მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით სთარგმნის რუსულს ქართულად. ამავე დროს მთარგმნელში არ იცის ზოგიერთი რუსული სიტყვის მიშვენილობა ქართულად და გაურჩევლად ხმარობს ბევრ შეუსაბამო სიტყვებს. ამ ორი მიზეზის გამო სრულიად იყარება და მახინჯდება აზრი დედანისა. ვინც რუსული არ იცის და ვისაც პირველად არ წაუკითხავს თვით დედანი, ის მწუხარდ თუ გაიგებს რამე აზრს ამ მთარგმნიდან. ამაში ცხადია დაწესება ყველი ქართველი მთარგმნი.

### სასულიერო გამოძიებები.

(დასასრული \*).

თუ რომელიმე მოწამე, რომელიც ნაჩვენებია იყო მომჩივნის ანუ მოპასუხის მხრით, არ იქნა ნაკითხი გამოძიების დროს, ეს მაშინვე უნდა ჩასწეროს გამოძიებელმა განსაკუთრებით სიგელში, რომელშიაც განმარტებული უნდა იყოს მიზეზი, რომლისა გამო მან ჩვენება არ ჩამოართვა მოწამეს. თუ მოწამე, რომელიც დაბარებული იყო ჩვენების ჩამოსართმევად, არ გამოცხადდა გამოძიებაზე და არც პატივსაცემი მიზეზი წარმოადგინა, მაშინ მეორე უწყების გაგზავნის შემდეგ, სასულიერო გამოძიებელი უნდა მიიქცეს თხოვნით ადგილობრითი პოლიციისადმი, რათა დახმარება აღმოუჩინონ მას. მაგრამ როცა მოწამე ძალიან შორს არის ან სამსახურისა გამო არ შეუძლია გამოცხადება, მაშინ გამოძიებელმა უნდა მისწეროს მახლობელ მთავრობას, რომ ამ პართ ჩვენება ჩამოართვან.

თუ ერთსა და იგივე დროს წარმოდგენილ იქნებიან მოწამები როგორც მომჩივნის მხრით, ისე მოპასუხისაგან, მაშინ პირველად უნდა ეკითხოს მომჩივნის მოწამებს და შემდეგ მოპასუხისას და ამ მოწამების ჩვენების ჩამოართმევა ჩაწერილ უნდა იქნეს სიგელში, რომელშიაც მოხსენებული უნდა იქნეს, თუ რომელი მოწამეა მომჩივნისა და რომელი მოპასუხისა.

სასულიერო გამოძიებლებმა დაწერილებით უნდა გამოჰკითხონ მოწამებს, თუ რა განწყობილება აქვს მათ მომჩივან-მოპასუხესთან, ხომ არაეის ურჩევია მათთვის, რომ უმოწმონ მათ, მათ თავის თვალთ ნახეს ჩადენილი დამნაშაობა, თუ სხვისგან გაიგონეს და სხვანი, რაც საჭიროა საქმის გამოსარკვევად. თუ აღმოჩნდა, რომ მოწამეს სხვისგან გაუგონია ეს ამბავი, მაშინ გამოძიებელმა უნდა ჰკითხოს მას, თუ ვისგან გაიგონა და ამ უკანასკნელსაც უნდა ჩამოართვას ჩვენება. თუ მოწამები ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ აჩვენებენ, მაშინ გამოძიებელმა სხვა და სხვა კითხვების მიცემით უნდა გამოიკვლიოს, თუ რომელი მოწამის ჩვენება უფრო მართალია. მოწამის ჩვენების ჩამოართმევის სიგელში მოხსენ-

ებული უნდა იქმნეს, რომ ჩვენება მისცა მან ფიცის მიღების შემდეგ; თუ მოწამე რაიმე კანონიერი მიზეზისა გამო განთავისუფლებულ იქნა ფიცის მიღებისაგან, მაშინ მას უფიცრად უნდა ჩამოართვან ჩვენება და ჩვენების სიგელში ჩაიწეროს, რომ მასს უფიცრად ეკითხა.

სასულიერო გამოძიებლებმა ყველა თავისი განკარგულებანი გამოძიების შესახებ, მაგალითად: მოწამების დაბარებაზე, გამოძიებლისაგან მიცემულ კითხვებზე, მოწამების დაფიცებაზე სათითაოდ უნდა შეადგინოს კერძო დადგენილობანი, საიდგანაც შეიძლებოდეს გაგება საძიებელი საქმის წარმოებრსა და მასთან ეს დადგენილობანი უნდა იქმნენ აღწერილი ჯეროვანის სიცხადით და ნაჩვენები უნდა იქნეს როგორც დრო ამ ოქმების შედგენისა, ისე ის საბუთნი და კანონიერი მიზეზნი, რომელთა გამო გამოძიებელმა მოახდინა ასეთი განკარგულებანი.

გამოძიების დროს სასულიერო გამოძიებელნი მოჩივან-მოპასუხეთაგან იღებენ ყოველ გვარ ქალაქებს, რომლებიც შეადგენენ წერილობითი ჩვენებას ანუ განმარტებას საქმის შესახებ. ხშირად ამისთანა ქალაქებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ საქმისათვის, მხოლოდ გამოსაძიებელ საქმეს ავსებენ უარგისი მასალით. თუმცა სისხლის სამართლის მე-19 ტ. 2 ნაწ. მე-5 ნ მუხლში ნათქვამია: «ბრალდებულს საქმის გამოძიების გათავებამდე უფლება აქვს წარუდგინოს გამოძიებელს ყოველივე, რასაც შეუძლია მისი გამართლება», მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ იმავე მუხლში ნათქვამია: «გამოძიებლებმა უნდა მოისმინონ ბრალდებულის ჩვენება, და ამ ჩვენებათა ძალით უნდა გამოიძიონ ყოველივე, რაც კი გამოსაძიებელ საქმეს შეეხება. აქედამ ცხადია, რომ მე-5 ნ მუხლის ძალით ითხოვება არა წერილობითი ჩვენებანი და განმარტებანი, არამედ აქ იგულისხმებიან ბრალდებულთა სიტყვიერი ჩვენებანი, რომელნიც უნდა მოისმინოს გამოძიებელმა, ჩასწეროს ისინი სიგელში და მათ შესახებ მოახდინოს გამოკვლევა, რაიცა საჭირო იქნება საქმისათვის. ამიტომ გამოძიებლებმა უნდა მოისმინონ მომჩივან-მოპასუხეთაგან ყოველივე მათი განცხადებანი და თხოვნები, ჩასწერონ სიგელში და მათ შესახებ მოახდინონ გამოკვლევა, რაიცა საჭირო იქნება გამოსაძიებელი საქმისათვის, ხოლო მომჩივან-მოპასუხეთ უნდა განუმარტონ, რომ წერილობითი მათი ჩვენებანი და განმარტებანი კანონში არ არიან მოხსენიებულნი.

\* ) იხ. «მწყემსი» № 4 1891 წ.

სასულიერო უწყების პირნი, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, ხშირად აგზავნიან სასულიერო ეპარქიის კონსისტორიებში მრავალ სხვა და სხვა განმარტებათა, თხოვნებს, პაპუბებს და განცხადებათა და იმეორებენ ხშირად ერთსა და იგივეს, რომელსაც არაერთხელ მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის და არც პარადად მათთვის, მხოლოდ ამ განცხადებით და თხოვნებით უქნელებენ საქმის წარმოებას კანცელარიებს. კნონი ნებას აძლევს ბრალდებულთ წარუდგინონ გამომძიებელთ ყოველგვარი სიტყვიერი განმარტებანი და თხოვნები, ხოლო თვით გამომძიებელს ვალდებულს ჰყოფს ეს კანონი, რომ მან ეს განმარტებანი და თხოვნები ჩასწეროს სიგელში. ამიტომ სასულიერო წოდების პირნი უნდა მიიქცნენ სიტყვიერი განმარტებით და თხოვნებით გამომძიებელთადმი, რომ ამ უკანასკნელმა ჩასწერონ მათნი განმარტება და თხოვნები სიგელში. მათნება აქვს ეპარქიის სასულიერო სამმართველოებში შეიტანონ თავიანთი თხოვნები, მაგრამ ეს თხოვნები უნდა შეეხებოდნენ გამოსაძიებელს საქმეს და მხოლოდ მაშინ უნდა შეიტანონ, როცა ეს ნამდვილად საჭირო იქნება, მაგალ., როცა შედის თხოვნა, რომ შეესებულ იქნეს გამოსაძიებელი საქმე, ანუ როცა საჩივრები შედის გამომძიებლის უკანონო მოქმედების შესახებ. ყოველივე თავის გასამართლებელი საბუთები ბრალდებულმა უნდა წარუდგინოს გამომძიებელს თვით გამოსაძიებელი საქმის წარმოების დროს, რათა გამომძიებელმა კანონიერად განიხილოს ივინი და გამოიძიოს ამ საბუთების სინამდვილე; ეს საბუთები უკუბრალდებოდ ჩიებიან, თუ ისინი გამომძიებელთაგან განუხილველნი იქმნენ წარდგენილი კონსისტორიაში ანუ ყოველად სამღვდელთსადმი. ხშირად ზოგიერთი გამომძიებლები სიგელებს სწერენ ცუდის ხელით, მასთან ზოგიერთ სიტყვებს შლიან და სამაგიეროს ზემოდ აწერენ, ამიტომ საჭიროა იცოდნენ გამომძიებლებმა, რომ სისხლის სამართლის მე-XV ტ. 2 ნაწ. 474 მუხლის ძალით გამომძიებელთაგან შედგენილს სიგელებში და ოქმებში არ უნდა იყოს წაშლილი ანუ გასწორებული სიტყვები; ცხადი გასწორება ანუ სიტყვების დამატება შეიძლება, მაგრამ მათ შესახებ განმარტება უნდა იქნეს ამავე სიგელზე, ანუ დადგენილობაზე მათზე ხელის მოწერამდე. სასულიერო კონსისტორიის წესდების მე-161 მუხლის ძალით საძიებელი საქმე, როცა იგი მთლად დას-

რულდება, უნდა წარდგინოს მომჩივან-მოპასუხეს წასაკითხად და ხელის მოსაწერად თითოეულს ფურცელზე, ხელის მოწერის დროსვე მომჩივან-მოპასუხეთ უნდა განაცხადონ, კმაყოფილნი არიან ისინი გამოძიებით, და თუ უკმაყოფილონი არიან, სახელდობ რაში მდგომარეობს მათი უკმაყოფილება. ამის გარდა სასულიერო გამომძიებელნი, თუ მომჩივან-მოპასუხენი განაცხადებენ ხელის მოწერის დროს უკმაყოფილებას, რომ გამოძიება სისრულით არ არის ნაწარმოებო, ვალდებულნი არიან შეავსონ გამოძიება, თუ კი ეს განცხადება კანონიერი იქნება. სისხლის სამართლის XV ტ. 2 ნაწ. 322 მუხლის ძალით სასულიერო გამომძიებელნი ვალდებულნი არიან, რომ გამოძიების შესახები ყველა ქალაქები, სიგელები და გამომძიებლის დადგენილობანი შეკრულნი იქმნენ იმ წესით, რა დროსაც შედგენ ისინი, ანუ მიღებულ იქმნენ, მთელი საქმე უნდა იგმნეს დანომრილი, ხელმოწერილი თვითოეულ ფურცელზე და ზონარ გაყრილი. ზონარის თავზე დაკრული უნდა იქნეს გამომძიებლის და დეპუტატის ბეჭედი. საქმის თავში უნდა იყოს სია ქალაქებისა, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს ყოველი ქალაქის შინაარსი და მასთან ისიც, თუ რომელი ქალაქი რომელ გვერდზეა საქმეში. ყველა ქალაქები უნდა დაწერილ იქნეს კაი მელნით და გასაგები ხელით და მასთან ყოველს ფურცელზე, სადაც გაყრილი იქნება ზონარი, დატოებული უნდა იქნეს წმიდა ადგილი ერთი გოჯის ოდენი, რომ ნაწერის წაკითხვა არ გაუჭარდეს კაცს, ანუ ნაწერი არ წაიშალოს, ან არ გაიხსნეს წაკითხვის და ზონარის გაკეთების დროს. ზონარი უნდა იქნეს გრძელი, რომ საქმის ფურცლების გადაშლა საძნელო არ იქნეს.

«მწყემსი»-ს კორამპონდენცია

საფ. დარეშაძემ (ზემო იმერეთში).

პინც ხალხის კეთილდღეობის მონატრეა და მისი ჰირი ღმრთად არ მიანია, იმას სწორედ გულს მუუწუხებს ის გარემოება, რომ ჩვენი მღაბიო ხალხი ხშირად იმისთანა პირებს უფრო უჯერის ყველაფერს, რომელთაც კიტრად უღირსთ სხვის გაჭირება-

დაღბინება და მდამ იმას სკდილობენ, რომ მოხერხებით უმეტარ მოძვეს დასკინკლონ რამე, ვინემ იმის თანაებს, რომელთაც პაროენული სარგებლობა თითქმის დაუეიწყხათ და თავდადებულათ ზრუნავენ ხალხის წარმატებისათვის. ამას ცხადად ამტკიცებს ის შეუწყვეელი ავტორიტეტი, ის განუზომელი პატივი და ნდობა, რომელიც სოფლის მატყუარა მკითხველებს აქვსთ მოპოებული ჩვენს ხალხში. ჩვენნი ბრალიანი და უბრალო ექიმობას ჩემულობს და საქმით კი არასფერი არ გაეგება ექიმობისა. ანდაზისა არ იყოს, წყალწაღებულ კაცი ხავს ეპოტინებოდაო, ისეა საწყალი ხალხის საქმეც: გაუხდებათ ვინმე თუ არა ავად, მაშინვე მკითხავს მიაშურებენ, რომელიც ავადმყოფობის მიზეზათ ან ხატს დასახელებს, ან თვალს (თვალთაა გაღალულიო), ან აყოლილს, ან სხვა რამეს და ამასთანავე ურჩევს, როგორ უნდა შემოუაროს თავს. მკითხავის ბრძანებისამებრ, ავადმყოფის პატრონმა ან ხატს უნდა მიართვას რამე, ან მისი ავადყოფის „აეისთვალით“ შემხედავი მოძებნოს და თავი დაალოცინოს, რისგამოც, თუ „ავთვალთაში“ ნაძრახვა პირმა სნეული არ დალოცა, ხშირად წიწვნა-გლდჯაც გაიმართება ხოლმე, და ან დედაკაცებს გამოალოცინოს, „განატყნი“ გაუტყნოს და რომელიმე სოფლის ჯანაოზ ექიმისაგან „ხელნაკრავის წამალი მოუტანოს. ყველა ამავების შედეგათ ის ხდება, რომ ავადმყოფს მკითხავის ჩვეით სოფლის მატყუარა ექიმის წამალს ასმევენ და სნეული ან რჩება თავისით, ან ჰყვდება...

თუმცა ასე დიდი ნდობა აქვს მდებოა ხალხს სოფლის მკითხველებზე, მაგრამ არ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ამ ბოროტ-ბოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის უნაყოფოდ ჩიებოდეს. ამ რაოდენივე წლის წინედ სოფ. ლორეშაში ოთხი მკითხავი იყო, რომლებიც უმოწყალოდ სცარკვავდენ ხალხს. მღვდელმა აღუკრძალა მათ წმ. საიდუმლოს მიღება, დაიბოგა კერძოდ თუ სახალხოდ, რომ ხელი აეღოთ ღვთის წინააღმდეგ საქმეზე, მაგრამ იმათ თავისივერ მოიშალეს. ბოლოს მღვდელმა იმათ ხვლწერილი ჩამოართვა, რომლის ძალითაც, თუ კიდევ გაბედავდენ მკითხაობას, ისეთი ჯარ იმა გაჯახდებოდათ, რომ მთელი მათი ს.ცხოვრებელი არ ეყოფოდა. დღეს ამ პირებმა თითქმის მთლად აღდეს ხელი ხალხის ცარკვაზე, მაგრამ გარეშე სოფლებიდან მოსული მკითხავები კი გვეწყვიენან ხოლმე ხანდისხან. სოფ.

ლორეშას ამას წინეთაც ეწეოა. ერთი გამოჩენილი „მკითხავე-ექიმი“, რომელსაც ვილაც შტატ გარეშე მდღავითნე აედევნებია უკან. ეს გაკადნიერებული ვაჭარბანი «დოხტურის» სახელით დაბინავებულა ერთი გლეხის ოჯახში. გაუგია თუ არა სოფელს ამა და ამ კაცისას „დოხტური“ მოსულაო, მიუყვანიათ მასთან ურაცხეისნეულები: ბრმები, კუტები, ბნედიანები, ქუუა შერყეულები და სხვ.; გამოურთმევიავისთვის თხუთმეტი მანეთი, ვისთვის ათი, ვისთვის შვიდი, ვისთვის ხუთი და ყველადაურწმუნებია, სულ ცოტა ხან მი.ოგარჩენთო. სხვათა შორის ერთი კუტის სნეულებით დასუსტებული მისულა და უთქვამს თვისი გაჭირვება. «ადვილია შენი მორჩინა—უთქვამს „დოხტურს»,—წენ გაკჭრი, შიგნით გიწამლებ, ისევე შეგკრავ და სალი კაცი შეიქნებ. თუ ასე არ მოიქეცი, ბევრი-ბევრი ორი წელიწადი თუ იცოლხლებ კიდევ». საწყალი სნეული გაჭრის ხსენებაზე შიშს აეუთანა და ეთქვა: არა, ბატონო; რაც ღმერთს ენებოს, ის მომიეიდეს და გაჭრას ნულარ მიბრძანებთო. იმ დროს მე, ამ სტრიქონების დაწერი, ავად ვიყავი. შემოვიდა ერთი კაცი სანახავად და, რომ გაიგო ავადმყოფობის მიზეზი, ღიმილით მითხრა: „როგორ დაფიჯერო ისე ავად იყო, რომ ავერ ოქონაში აველა არ შეგედლოს?»—მერე რა გავაკეთო, რომ ავიდდე ვკითხე მე. «რა უნდა გავაკეთო კი არა, ეხლა ერთი დოხტური იქ მოვიდა, იმსთანა, მგონია, ჯერ არაენ შემოსულიყოს ლორეშაში. იმ მამა ცხოვბულმა ხად ისწავლა მაინც მკითხაობაც და ექიმობაც. რა უნდა აკითხინო, რომ იმან არ გითხრას, ან რა ავად-მყოფი იქნება, რომ ევერ მოარჩინოს?! ორი ცხენი ჰქვს წამლებით დატეირთული! რომ შეხედო «ღრუბენატორი» გვეგონება, ისე რუსულათ შეკაზმული, მაგრამ რა თავდაბალია ის კურთხეულის შვილი: თითქოს სულ უბრალო კაცი იყოსო, ისე ტკბილად ემუსაიფება ყველას!» მე მაშინვე მიეხვი, რა „დოხტურიც“ იქნებოდა ის ვაჭარბანი და ნაღვლიანად ვუთხარი გლეხს: სხვა დაყაროს სიკეთე იმისმა წამალმა და მე არც ოქონაში ასელა შემიძლია და არც მაგისთანა დაუბატეებელი «დოხტურის» წამალი მეჭიერებათქო. გლეხს წყენა შევატყე. ისე თქვენ შეგისრულდესთ ყოველი კეთილი საქმე, როგორც ჩემი ნათქვამი აღსრულდა: «დოხტურმა» ავად-მყოფებს დაუტოვა წამლები, დაარიგა რადროს, ან რა ზომით უნდა მიეღოთ, დაუნიშნა ვადა ხელახ-

ლად მობრუნებისა და გაუდგა გზას; ავად-მოყვებმა მიიღეს წამალი და იეთი საშინელი პირიღამ საქმობა აუტეხა ყველას, რომ ისეც დასუსტებულები, როგორც აქ იტყვიან, ფარჩხზე გადასაკიდებლად გახდნენ. მადლობა ღმერთს, რომ სიკვდილით არავინ მოუკლავს. «დოხტური» კი მას აქეთ არც მობრუნებულა და არც იკიან, სად ბრძანდება ეხლა. ამ ცოტა ხნის წინედ სოფ. მანდაეთში მცხოვრებმა გ. ჯ—ლმა მიუხრა—ერთი «დოხტური» ჩვენ სოფელში მოვიდა და თან მედავითნედ ჩამკოფი რ. გ. ახლდაო. გააერტყლეს ხმა, რომ ყოველნაირ ავად-მოყვას არჩენსო. მეც ავჭყევი სხვებს და მოხუცი ღედისათვის ვეპიებინე, რომელსაც თვალეზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული, თუმცა მხედველობა მთლად არ ჰქონდა დაკარგული. სამი თუმანი გამომტყუა და წამალი დამიტოვა, რომელმაც საწყალ მოხუცს მთლად გაუფუჭა თვალე და ეხლა სრულეებით ველარასფერს ხედავსო. ამის შემდეგ გამოუდექი იმ ღეთის მტერს, ეგებს ჩემ ფულებს მაინც დამიბრუნებ და, მაგრამ მისი კვალი ველარ მოვიკელიე. არ ეფიქრობ, რომ ეს „დოხტური“ იგივე «უებარი ექიმი» არ იყოს, რომელიც ამას წინედ «მწყემსი»-ს მესამე №-ში იყო აღწერილი. ცხადია, რომ რაც ლორეშლებსა და მანდაეთლებს დაჰპართა ამ «დოხტურმა», იმასვე დაჰმართებს სხვა სოფლებსაც. ამიტომ ურიგო არ იქნება პოლიციამ გაიგოს ამ ვაჭ-ბატონის ეინაობა და სამუდამოდ ბოლო მოუღლოს მისს ბოროტ მოქმედებას.

**ღარქუის სამეგლო სკოლის მასწავლებელი  
სიმონ ჭუმბურაძე**

**რუსეთის მართლ-მადიდებელი ტაძარი ვენაში.**

ბესტერიის სატახტო ქალაქს ვენაში არის რუსეთის ერთი მართლ-მადიდებელი ეკლესია წმ. ნიკოლოზის სახელზედ. ეკლესია არის მოთავსებული ერთ ორ-სართულიან შენობაში, რომელიც ეკუთვნის რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. ამ შენობის ძირა სართულში მოთავსებულია შრავალი სხვა და სხვა სავაჭრო დუქნები, ხოლო ზემო სართულში არის ეკლესია. ეკლესიას შენობა ისეა გარემო

შემოზღოდილი მაღალი შენობებით, რომ კაცო ვერც კი შენიშნავს, თუ იმ ადგილს ეკლესია არის. ამის გამო ეკლესიაში ისე ბნელა, რომ სუსამთლად მასში შესვლა არ შეიძლება. კიბე, რომლითაც შედის კაცო ამ ეკლესიაში, ძალიან ძნელი ასვალია. ეკლესია ძალიან პატარა და ვიწროა და ამიტომ წირვა-ლოცვის დროს იგი ვერ იტევს ყველა მლოცველებს. შობა-დღეს მლოცველები რიგით შედიოდნენ ეკლესიაში ღეთის-მსახურების მოსამენად და მრავალნიც კიბეებზე იდვენ, რადგან ეკლესიაში შესვლა არ შეეძლოთ უადგილობისა გამო. ამ ეკლესიაში დადინ წირვა-ლოცვის მოსამენად რუსეთის საიმპერატორო ელჩი, კონსული, ყველა მათნი მოსამსახურე პირნი და სხვა მართლ-მადიდებელნი, როგორც ვენაში მცხოვრებნი, ისე მოგზაურნი, ეკლესია შიგნით შესაფერად არის მორთული და გამშვენებული. ეკლესიის კრებულს შეადგენს ერთი მღვდელი, ერთი მთავარი და ორი მედავითნე. ყველა ამ პირთ სწავლა აქვთ დამთავრებული სასულიერო აკადემიაში. კრებულის თითოეული წევრი დიდ ჯამაგირს იღებს რუსეთს-გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან. წირვა-ლოცვა სრულდება რუსულს ენაზე. მგალობლებად მოწვეულნი არიან ზოგიერთი ნემცები, რომელთაც რიგინად შეუსწავლიათ რუსული საგალობლები.

ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვის დაწყებას ზარის რეკით არ ატყობინებენ მლოცველთ, როგორც ეს შეჰრღებულთა მართლ-მადიდებელ ეკლესიებში. ყოველი თთვის დამდეგს ეკლესიის კრებულს გამოაკრავს ეკლესიის კარებზე განცხადებას, რომელზედაც აღნიშნულია, თუ რომელ ღღებში იქნება თთვის განმავლობაში წირვა-ლოცვა და რომელ საათზე დაიწყება რომელიმე ღეთის-მსახურება. თანახმად ამ განცხადებისა მლოცველნი იკრიბებიან ეკლესიაში ღეთის-მსახურების მოსამენად.

ამ ტაძრის სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურენი ექვემდებარებიან ადგილობით ელჩს და პირ და პირი დამოკიდებულობა აქვთ პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტრაპოლიტ ისიდორესთან. საეკლესიო საბუთები იწერებიან რუსულს ენაზე. ერთი პირი ამ საბუთებისა ინახება თვით ეკლესიის საღაროში, მეორე—დგინდება პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიაში, მესამე ეგზანება მიტრაპოლიტს, მეოთხე უწმიდესი სიპოდის ობერ-პროკუ-

რორს და მებუთე დგინდება რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ამ ეკლესიის სალაროში სხვა ძვირფას ნივთთა შორის შესანიშნავია ერთი ხელი დაფარნა თეთრი ხავერდისაგან შეკერილი და ოქრომკედით ნაქსოვი. დაფარნები მორთულია ძვირფასი მარგალიტებით. ეს დაფარნები შეუწირავს ეკლესიისათვის სერბიის კოროლევას ნატალიას 1887 წელში; ეს დაფარნები ღირს არა ნაკლებ 1500 მანეთისა. აქვე იმეკონებოან ტრაპეზის ღიდი ძვირფასი ჯვარი და სახარება ოქროს ყდაში ჩასმული, რომელნიც შეუწირავს ეკლესიისათვის მის იმპერატორებითი უდიდებულესობას რუსეთის იმპერატორივას განსვენებულს მარიაშვილ ალექსანდრეს ასულს.

ამ ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მ. ა. ნიკოლაევსკი ძლიერ სკდილობს, რომ ქალაქ ენაში შესაფერი ეკლესია აღაშენოს და ამ საქმის შესახებ კითხვაც აღუძრავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომლისგანაც ღლეღლეზე მოეღიან პასუხს. რიგიც არის, რომ ამ სატახტო ქალაქში რუსეთის მთავრობას ერთი შესაფერი ტაძარი ჰქონდეს აღშენებული.

ბ. მ. გ. ბეჰე.

მეტივე ხელაძის ახირებულნი წმინდის გავო.

«ივერის» მე 49 №-ში ჩვენ კითხულობთ შემდეგ ახირებულ ამბავს:

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისში მოხდება და არა მოსკოვში, როგორც ამის გამო საზოგადოებაში ხმა იყო გავრცელებული. გამოდგა, რომ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისიდან მართლა მოსკოვში გადაუტანიათ. გუშინდელს «HOB. OHO3.»-ის №-ში ბ-ნი ხელაძე სწერდა, რომ მე ვსახოვე ვისაც ვერ იყო, გადმოეცაო ჩემთვის საეკლესიო წიგნების ბეჭდვა, მაგრამ უარი მივიღე. რადგანაც უამე გადაუწევეტიათ, რომ ასეთ წიგნების ბეჭდვა მოსკოვში უნდა მოხდესო. ყურადღების ღირსია ის გარემოებაო, განაგრძობს ხელაძე, რომ ადგილობრივ უმაღლესს სასულიერო მთავრობას ამ საქმეში არაგითარი მონაწილეობა არ მიუღია, არამედ ყოველივე ეს უწმიდეს სინოდს გადაუწევეტია იმერეთის ერთის დეკანოზის მოხსენებით, საქირაო ვიცოდეთ, ვერ შეიძლება გაზეთი («მწყემსი»),

რომ ქართველ საზოგადოებას ამ საქმის გარემოება დაწვრილებით აუწუოსო.

გნახოთ, «მწყემსი» ამ საკითხს რა პასუხს გასცემს.

«მწყემსი» თავისი ახრი ამ საქმის შესახებ გამოხატევა თავის გამოცემის წარსული წლის ორს ნომრებში და იმედი ჰქონდა, რომ ამ საგნის შესახებ ორიოდ სიტყვას იტყოდა გაზეთი «ივერია» და «HOB. OHO3.», მაგრამ იმ დროს ამ გაზეთებს კრიტიკა არ დაუძრავს ამ საგნის შესახებ. ალბათ ამ დროს «ივერია» ბისმარკის პოლიტიკის წერაში იყო გართული და «HOB. OHO3.» ბ. პ. ჩიკვიძეზე იყო გალაშქრებული და ამისთანა საქმეების დარდი არა ჰქონდა. მართალია, წარსულ წელში გაზეთ «HOB. OHO3.» ერთ ნომერში ბ. ი. ხონელმა დაბეჭდა ერთი სტატია ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ, მაგრამ ეს სტატია ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სტატიად იყო ოსტატურად შედგენილი. ამ სტატიაში ბ. ი. ხონელს ბერი თავის შემდგომი მოსაზრება ჰქონდა ჩართული; მაგრამ ეს კასაკვირველიც არ არის, რადგან ხონელმა სრულებით არასფერი იცის ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის ისტორიის შესახებ.

ყველაზე მეტათ ხელაძის ახირებული საქციელი გვაკვირებს. რა გაჭირვება ადგა ამ ბატონს, რომ «HOB. OHO3.»-ს, მიაშურა თავისი ახირებული წერილით და ქართული გაზეთები მიატოვა. ვინ უშლიდა პირ-და-პირ ჩვენთან მოქცეულიყო თავის წერილით?! სინოდალნი კანტორის «სტოროჟისთვისაც» რომ ეკითხა ხელაძეს, ისიც კი ეტყოდა, რომ ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის შესახებ სინოდს სრულებით არა გადაუწევეტია რა ჯერჯერობით და არც გარდაწყვეტს სინოდალური კანტორის დაუკითხავად. ნუ თუ ხელაძემ არ იცის, რომ ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის მოსკოვში გადატანა მოხდება საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის დათანხმებით და გარდაწყვეტით და არა ერთი იმერელი დეკანოზის წარდგინებით?! ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ მოსკოვის სინოდალნი სტამბას პირობებიც გამოუგზავნია ამას წინეთ კანტორისათვის ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ და



ითხოვს კანტორიდან ამ პირობათა მიღებას, ან უარის გამოცხადებას. სინოდალნი კანტორა, რასაკვირველია, თუ სასარგებლოდ დანახავს ამ პირობათა, მიიღებს და დათანხმდება და თუ არა, უარს განაცხადებს. დასაჯერი არ არის, რომ საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე საქართველოს ექსარხოს და კანტორის ნება-დაუთვლად სადმე გადიტანონ. მათი მაღალ ყოველად უსამღვდელოება საქართველოს ექსარხოსი პალლადი და კანტორაც, რასაკვირველია, მიაქცევენ ყურადღებას წიგნების კარგად და იაფ ფასად ბეჭდვას. თუ მასკოვში იაფად დაჯდა წიგნების ბეჭდვა, რასაკვირველია, ყურადღებას არაფერს მიაქცევს ექვთიმე ხელადის და მიკირტუმების სტამბის ზარალს და, თუ თფილისში უფრო იაფად დაჯდება ბეჭდვა, მაშინ ჩვენ არა გჯერა, რომ კანტორამ აქვე არ დაიწყოს წიგნების ბეჭდვა.

მ. ხელადის შეხედულება მაზედ, რომ ექსარხოსის და კანტორის აზრის ზინაღმდეგ და მათ ნებადაურთველად სინოდმა გარდასწყვიტა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის მოსკოვში გადატანაო, მეტის-მეტად სასაცილო და ზღაპრულია და შეიძლება იფიქროს ოთხი წლის ბავშვმა და არა სრულ წლოვანმა კაცმა.

მღვდლის საიდუმლო.

(გაგაძელება\*)

მხოლოდ ჩვენ უნდა განვმარტოთ, თუ როგორ დაისაჯა მ. იოანე მკვლევლობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, და შემდეგ როგორ გაიმარჯვა მისმა სიმაართემ, და როგორ დაჯილდოვდა მისი ქველმოქმედება.

მემამულე ი. იყო პატივსმცემელ მ. იოანესი, იგი იყო მ. იოანეს სულიერი შვილი და ძალიან უყვარდა თავის სულიერ მოძღვართან საუბარი სარწმუნოებაზე.

თავისი მოულოდნელი სიკვდილის დღეს ი. ძალიან მოწყენილი იყო და ძალიან ცუდად გრძნობდა თავის თავს. უეცრად, თითქო ღეთის განგებით, რომ მომხადებულყო იგი სიკვდილისათვის, ი—ან

შვიდა მ. იოანე. მოძღვრის დანახვა ძალიან სასიხარულოდ დაუჩია ი—ს.

მ. იოანემ და ი. დაიწყეს საუბარი; ი. მთლად გაღუშალა თავისი გული მ. იოანეს, იგი ინანებდა ანაღვანდობაში ჩადენილს ცოდვებს და ევედრებოდა მღვდელს, რომ მას ელოცა მისთვის. მ. იოანემ ანუგეშა ი. და უთხრა, რომ ღმერთი მოწყალეა და იგი მიუტევებს მას ცოდვებს. შემდეგ მღვდელი ადგა და წავიდა, რადგან შინ საქმე ჰქონდა.

როცა მ. იოანე გამოვიდა ი. და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ქუჩაზე, იგი შეხვდა თავის სამწყსოთავანს. ეს იყო აზნაური თეოდოროვი.

თეოდოროვი რაღაც შეშფოთებული იყო. ის ისე გართულა იყო ფიქრებში, რომ მღვჯელთან შეხვედრის დროს არა თუ არ უჩერდა, თავიც არ დაუყრავს მღვდლისთვის, თუმცა მ. იოანემ მას ქუდი მოუხადა.

მ. იოანემ თეოდოროს თვალი გააყოლა და, როცა შენიშნა, რომ მან ი. სახლისაკენ შეუხვია, გასწია თავის სახლში.

სახლში მ. იოანე შეუდგა მეორე ღლისათვის გაყვითლების მზადებას. მეცადინეობის დროს მას შემოესმა, რომ შემოსავალი ოთახის კარი გაღოვდა და შემოვიდა ზალაში, რომელიც მ. იოანეს სამეცადინო ოთახის მახლობლად იყო. მამა იოანემ დაანება თავი მეცადინეობას, აიღო ხელში სანთელი და ზალაში გამოვიდა. მას წინ შეეგება თეოდოროვი, რომელსაც რაღაცა აღშფოთება ეტყობოდა, პირის სახე მთლად გაყვითლებული ჰქონდა და თვალები ანთებული.

მამაო, უთხრა ჩუმათ თეოდოროვმა მ. იოანეს, მე ჩავიდინე დიდი და სასიკვდილე ცოდვა.

მ. იოანეს არ გამოუკითხავს თეოდოროვისათვის, თუ რა ცოდვა ჩაიდინა მან და სად? მ. იოანესთან იდგა მისი სულიერი შვილი და მღვდელმა მიუგო მას ისე, როგორც შეჭფურის სულიერ მამას:

— თუმცა თქვენ შესცოდეთ და ეს ცოდვა აწუხებთ თქვენს სულს,—უთხრა მ. იოანემ თეოდოროს,—აი მაცხოვრის ხატი ჩვენს წინაშე, აი ჯვარი და სახარება... როგორც სულიერს მწყემსს და მამას, მითხარით მე თქვენი ცოდვა, რომ ჩემი შეამდგომლობით მიიღო განკურნება თვით ქრისტესაგან.

სთქვა თუ არა ეს მღვდელმა, გააღო დიდი კილობანი, რომელიც იდგა წინა კედლის კუთხეში და

\*) იხ. «მწყემსი» № 4, 1891 წ.

რომელიც სასე იყო ხატებით, ამოიღო იქიდან ჯვარი და სახარება, შეხვეულნი ოლარში, დასვენა ისინი პატარა სტოლზე, ოლარი კი ჩამოაკიდა; წაიკითხა აღსარების წინ წასაკითხავი ლოცვები, რომელიც შემოაკლა, რადგან თეოდორი მეტად აღმფრთხილებული იყო, შემდეგ მიუბრუნდა თეოდორის ჩვეულებრივი სიტყვებით, რომელიც არიან კურთხევიანში: „ვეილო! ნუ გრცხვენის, ნუცე გეშინის და ნუწას დაფარავ ჩემგან“.

თეოდორი მივიდა მღვდელთან, პირჯვარი გამოისახა და სთქვა:

— ძარგი, მე ყოილივეს გეტყვით თქვენ; მაგრამ ნუ თუთქვენ არ გამეხვლთ, მამაო, პოლიციასთან, როცა ის ამ საქმის შესახებ მოახდენს გამოძიებას?

— მე ვარ ქრისტეს მოსამსახურე. ის, რასაც ჩვენ ვხედავს ვასრულებთ, არის საიდუმლო, რომელიც ხდება მხოლოდ სამ პირს შორის: შენსა, ჩემსა და უფლის შორის. როცა მე უმოწმებ თქვენს ცოდვებ ქრისტეს, მერე მე აღარ შემიძლია შენი ცოდვები უთხრა გარეშე პირს. ამას მიკრძალავს მე სინდისიც და კანონიც.

მაშინ თეოდორი უხრა მღვდელს, რომ ამ რამდენიმე წამის წინედ მე მოვჰკალი ი... .

მ. იოანემ ვერ დაინახა მკვლელას გულში ქვეშაირი მონაწილეობა. აღმსარებელის გული აღვლევებული იყო სხვა გრძობებით, რომელთა შორის პირველი იყო შიში ქვეყნიურის სასჯელისა. ამიტომ მღვდელმა გაუშვა თეოდორი ცოდვების მიუტოვებლად და უთხრა:

— მხლა შენ არ შეგიძლია, როგორც რიგია, მიიღო უფლისაგან მიტევება. პირველად შენ უნდა შეიგნო გამოცდილებით, რომ ღვთის მსჯავრი უფრო მძიმეა, ვინც კაცთა მსჯავრი.

როცა ამის შემდეგ მ. იოანესთან მოვიდა პოლიციის ბოქაული და გამოჰკითხა: იცის თუ არა მან, რა შეემთხება ი., მღვდელი შეშფოთდა და პასუხი ვერ გასცა. ეთქვა, რომ „არ ვიცი“, ნებას არ აძლევდა მღვდელს მისი ჩვეულებრივი სიმართლე, ხოლო ეთქვა, „ვიცი“, ამას უკრძალავდა მას აღსარების საიდუმლო.

პოლიციის ბოქაულმა ეჭვი აიღო, რომ ი. — ს მკვლელი იყო მ. იოანე და არა სხვა ვინმე. ამ ეჭვს ამტკიცებდა სისხლის ლაქები მღვდლის ანაფორაზე და სისხლიანი დანა, რომელიც მოსჩანდა ანაფორის ჯიბიდან. არ შეეძლო ეთქვა მღვდელს, რომ ეს დანა დატოვებული იყო თეოდორისაგან და მისგანვე იყო სისხლიანი ხელები შეწმენდილი ანაფორაზე, რომ თეოდორი და არა სხვა ვინმე არის მკვლელი ი., რადგან მ. იოანეს ამას უკრძალავდა აღსარების საიდუმლოება.

**გ ა ზ ა უ ხ უ ლ ი.**

ღღეს არის პირველი მარტი დაწყება გაზაფხულისა, იშლება ხეთა კვირტები, ზამთრისგან დაჩაგრულისა.

ზაზაფხულის სიხლოვე თებერვალმა გვგარძნობია, მინდორთ იწყეს ამწვანება, აყვავილდა ტურფა ია.

ღღესასწაულობს ბუნება, ჰყვავის ათას ფრათ ხენია, კლებულობს ღამის წყვილი, სიგრძეს მატულობს ღღენია.

აგერ მერცხალიც გვესტუმრა; კეკლუცათ იწყო ფრენაო, ემღურის წარსულს ზამთარსა, ცული ღღე დაგვაცენაო.

მაგრამ, უწყალოს უწყალოდ ვხედავ ამოხდა სულიო; მე კი მიხარის, ვნაეარღობ, მომესწრო გაზაფხულიო.

მაზაფხულდა, გაზაფხულდა, ღღე დაგვიდგა გასახარი, კორდი, ბუჩქი გამოფხიზლდა ზამთრისაგან ცოცხალ-მკვლარი.

ნუ თუ ჩვენცა არა გემართებს გაღვიძება ძილით მთვრალთა, წმიდა გრძობით, წმიდა შრომით რომ ვიხილდეთ კაცურ ვალთა?

რაუდენ საჯარო სკოლი.

1891 წ. 1-ს მარტს.

რომელმანმე ვერაგობამ კერძო და მუნთ ანუ ჩემ კერძო მოშალოს შეწირულება ესე და წირვა ჩემთვის იგიმცა შეიშლებიხს სახისა თვისისაგან და ნობოხლონოსორის და თერდატის მსგავსად დანსჯების<sup>2)</sup>. ხოლო დამამტკიცებელი ამისნი კურთხეულ იყავ მადლითა შენითა დაიწერა ხელითა მდიენის მალაღამის იოსებისათა, თუ ვინცის ქამთა ვითარებისაგან, რომელიც შეწირულების სიგელი დამიდგია და წმინდის შიო მღვიმის მონასტრისათვის სიგელი მიმართმეცია თუ ის დაიკარგოს ქამთა ცელი ლებისაგან ამ წერილმა უნდა იპოვნოს და ჩვეულეებისაებრ წირვა და ლოცვა უნდა განახლონ იანერის ია წელსა ჩჰმ ქორანიკონს შჰმ

**ბეჭედი. მოუწავი იოანე.**

**შ.ო. მღვიმისა.**

კეთილ მოაწმუნეს და განათლებულეს ჩვენს მოყვარეს მეფის სძალს ქეთეთუნს

ღვთისა დედისა მსასოებელსა უმოწყაელსა სკელმწიფესა

1802. წმინდის შიო მღვიმის მონასტრის არხიმანდრიტი და ჩემთანა ესე ძმანი გლახაკნი ბერნი მარად მლოცველნი თქვენი უმდაბლესს პატივისცემას და ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვას მოგახსენებთ, და წმინდისა ამის მონასტრის მადლსა მფარველად თქვენსა უგანათლებულობას მოუძღვნით. უგანათლებულესო მეფის სძალო, ქრისტეს მიერ გიხაროდენ ვინაღვან სასომან შენმან წმიდამან მონასტრამა იწყენ განათლებად და აღორძინებად, რომელსა შვა ძმათა სიმრავლე დაემკვიდრება მარად მლოცველად ოჯახისა თქვენისა; უმოწყალესო ხელმწიფა, ვინაღვან ადრითვე სწყალობდი სასოხა ამას შენსა მონასტრისა, რომელსაც ჰქადაგებენ ნაქმნი თქვენნი, აწ გთხოვთ მონასტრიცა და ჩვენიცა სიგლახაკე ახალსა მოწყალებასა. ესე არს დრო მოწყალებისა მეფის სძალო, ნუ ჩვენთვის უფროსლა სახელისა თქვენი სათვის ჰყავ მოწყალება სამლოცველად მეფის ძის იოანესდა. და სადღეგრძელოდ ბატონის შევილის გრიგოლისად ცხენისა მოწყალებისა გვეედრებით,

2) შეკადრე «ქართლის ცხოვრების» მოთხრობა ამ საგანსკედ.

ცხენისა ბოძებასა გთხოვთ, რომელიცა ამჟამად ფრიად საჭიროდ გვესახმარება მორეწასა პურიხასა კვალადცა გვეედრებით ღვთისათვის და არ უძულვებულს კაცთ ვიდრე ჩვენი, ანუ ჩვენ მონასტრისა შეწიე არა ჩვენა გთხოვთ მოწყალებასა უფროსლა წმიდა მამა შიოდა თქვენი ესე წმიდა მონასტერი ვინაღვან თქვენ იცით მოწყალებისა წყაროდ დაუწყველელად და ხეთის მსახურისა დიდებულისა ოჯახისაგან რტოსა ზედა დავითნისა დამყნილად. ამისთვის პიველ ყოველის თქვენ გთხოვთ მოწყალებასა რომლისათვისაცა გაახელით ბერი მონასტრისა იერო დიაკვანი მამა ჩვენი სერაპიონ და მქონე ელი მათის უწმიდესობის მოწყალებისა წერილისა, გთხოვთ მუხლ დადგმით ცხენის მოგების მოწყალებასა და სასოებითაცა კეთილ მოაწმუნებისაგან თქვენისა მივილოთ მოწყალება, და დავეთვებით ჩვენ და მონასტერი ჩვენი საუკუნოდ მლოცველად ქრისტეს მოვეარე გვამისა თქვენისა მეფის ძის იოანესა და საყვარელისა ძისა თქვენისა გრიგოლისა 1802<sup>1)</sup>.

მთავალ კრძალულებით გაგიბედავთ მოხსენებას გლახაკა ბერი წმინდის შ.ო. მღვიმისა მონასტრისა და უკრძალუაქად მოგახსენებთ მონასტრის ძმთა საყავა.

**რ უ ი ს ი ს ა.**

ადწერა რუისის სობოროს ეკლესიის შეწირულების წერილთა:

შალაქს სასახლისა და მღებრიშვილის შეწირულობის წერილი ათაბეგის შემოწირულობა სოფლისა ბენისისა ეახიტაშვილის შეწირულობის სიგელი ოქმებისათ მეფის ეახტანგისაგან სითარხნის სიგელი—მეფის ერეკლეს ოქმი დაფანტულის კაცებისა—ივანე ციციშვილისაგან შეწირულების სიგელი—პაპუნაშვილის დავითის შემოწირულობის სიგელი—გივიაშვილების პირობის მოცემული წიგნი—დავით ბატონი-

1) ეს ქეთეკანი უხდა იეკეს პირველი მკუჯლე გიორგი მე—XII. იგი იყო თავად ანდრონიკაშვილას ქალი. 246 и др. Бутковъ. Материалы для исторіи Кавказа II, 157.

შვილისაგან რუისს სამღებროსა შეწირულების სიგელი — ავლიანთა და დიასამიძიანთ ოქმი მამულის (სამს) საძღვრებისა — გიორგი ამილახვარის მამულის შეწირულების სიგელი — შვილის ოქმები მეფის გიორგისა და სოფლის მოწმობა შვილის ოქმი — იასაროვის ოქმი — ჩხიკვაძეების შემოწირულობის სიგელი — დეკანოზი ზაქარია მამაცოვი.

**რ უ ი ს ი ა.**

1801 წ. მათის დიდებულობის ბრძანებით საქართველოს მემკვიდრე და მართებელი დავით მოგიწერ მახაბელო ზახვე მერმე სანატრელმა პაპა ჩვენმა და მამამ ჩვენმა თავდებისა მღვთის მშობლისა ყმა და მამული ყოველად სამღვდელს ბროკელს იუსტინეს მიაბარა და ჩვენც ამას უბოძეთ იმის ყმასა და მამულზედ თვალყური გეჭიროს და უბრალოდ სხვა ბერი არავინ შეუშვათ, ვისიც უნდა ოქმი მოგიტანოს და ამას უნდა ამსახურო იმის ყმა და მამული მათს ქორონიკონს უბოძე ჩვენ გვესმის რომ ამისი ყმანი არ ემორჩილებიან და არც ამსახურებიან თურმე ავად შეეპარ და ის რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე უნდა ამსახურო: <sup>1)</sup> (ბეჭედი)

**ნ ე კ რ ე ს ე ლ ი.**

ვასწორებ კითხვას

1767 წ. მკითხაობის მუჭილგა.

მსე წიგნი მოგართვი მე მკითხავე შარიაამ თქვენ ბატონს ნეკრესელს ასე რომე მკითხავე ვიყავ და ჩვენის ვართაპეტისაგანაც საკანონო დამედო და ხელი ავიღე კითხაობაზე და ეს წიგნიც თქვენთინ მამირთმევეა ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსენდეს ცეცხლში დამწვით, არის ამისი მოწამე სულ ერთობლივ ლომის ციხელნი და აქ ფეიქარი კირაკოზა, მეწისქვილე ევაზა და მე ანტონას დამეწერა და მოწამეც ვარ. დაწერა აპრილის 11 (11) ქორონიკონს უბოძე (1767).

<sup>1)</sup> დაკითხი თავის თავს მძაბრებდად უწოდებს, ვიდრე საქართველოს ბედი გადაწვებოდა რუსეთის სასელაქციო გრაჟელად იწოდებოდნენ რუის საბჭოში ეფასკოპოსებო.

**ნ ე კ რ ე ს ი ა.**

1775. მს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მერუზიძემ რაჭელმა თქვენ ყოველად სამღვდელს დოსითეოს ნეკრესელს. თქვენ მოგესხნებათ თავის ადგილ ცოლი... გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვას მიზეზით გამეშოს და ბოზობის მიზეზით არ გამეშოს, ქრისტეს წინა შენ პასუხი მოგცე. მე არაშელოძე მიქელა იმერელი ვარ ამისი მოწამე, რომე ეს სიტყვა ჭეშმარიტია და ორმა ამისმა მეზობელმა მეჩტიშვილს, პაპანაცვალსაც ასე შემომფიცეს: მართალია, რომე ბოზობის მიზეზით გაუშვა. მე ანტონა სომეხს დამეწერია და მოწამეც ვარ ამათი სიტყვისა, დაწერა ლენიობისთვისა, „ა“ ქორონიკონს უბოძე.

შენაშენა. ეს გუჯარა საყურადღებოა მათ, რომ სდას ფარდას კრძამს ცხოვრებას, გვაჩვენებს ზნეობის მდგომარეობას მე - XVIII საუკ. ამ ცნობებს კერძოაუღლებთ ჩვენს მატანეში და ამიტომ საზოგადოების სურათის დასახატად ფრად საინტერესოა არიან ამ გვარს სელთაწიწნი. სჩანს, ცოლია დალატი მეტად დიდი ჩაქე, იუა ჩვენი ხალხისთვის, რომ იგი მიზესად ხდება ცოლქმართა გასამარებად. ამასვე გვაძეგებს კანონები მეფე ვასტანგ VI. მაშასადამე ეს გუჯარა თანხმად აუარადიული ნაშთისა სამიწათით გეხატავს წმინდა მსარეს ჩვენი ხალხისას.

ნეკრესელი დოსითეოს კარგად არის ცნობილი ჩვენს იტორიაში. რამდენიმე გუჯარაში იგი იხსენიება. კათოლიკოზი იოსება 1762 წ. უგზავნის მას დადინებას შესასებ ეკლესიის მოწეობისა და სამღვდელეობის მოქმედებისა. (ნსე დ. ფურცელაძე. Церковные гуджари, 40).

ჩვენ მიერ დაბეჭდილი გუჯარა არ ამოება დ. ფურცელაძის წიგნში.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსახ-  
ლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს  
კუბოს მოსახლეობლად ჩვენ მივიღეთ კაცხის წმ. გი-  
ორგის ეკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან 4  
მანეთი და ათი შაურა. ეს ფულები შეუწირავსთ  
შემდეგ პირთ: მალაქა მაჭავარიანს 40 კ., ზაზა ავა-  
ლიშვილს 40 კ., დავით ბერიძეს 60 კ., დარისპან  
ჯიმშიაშვილს 40 კ., გიორგი კვანტრეშვილს 40 კ.,  
უფლისა კვანტრეშვილს 30 კ., პაატა კვარაცხელიძეს  
30 კ., დიმიტრი ოქროქელიძეს 30 კ., ივანე ოქრო-  
ქელიძეს 30 კ. ლუარსაბ ოქროქელიძეს 30 კ., რო-  
მანოზ ჩაჩანიძეს 20 კ., ალექსი მდინარაძეს 30 კ.  
და გიორგი დანელიას 30 კ.—

\* \*

სოფლის ღანირის ეკლესიის კრებული გულ-  
თად მადლობას სწირავს ამავე სოფლის მცხოვრებთ  
გლებთა დიონის გიორგის ძეს თსილაკას და გიგო  
კატას ძეს დადანიძეს, რომელთაც შეუწირავსთ ზე-  
მოდ აღნიშნული ეკლესიისათვის ერთი სანაწილე,  
ორი შანდალი ტრაპეზზედ დასადგამი, ერთი გარდა-  
მოხსნა და ერთი წყელი ბაიჩაზი, ღირებულნი 45  
მანეთად.

\* \*

ამას წინედ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელთან  
მივიღა ერთი 8 წლის ვაჟი და მოახსენა მათ მეუ-  
ფებას: «მე ვარ ერთი უპატრონო ობოლი და  
ძლიერ ღარიბი, დღემდას მოუწათლავად ვარ დარ-  
ჩენილი და გთხოვთ მიპატრონოთ, მომნათლოთ და  
გამომზარდოთ. ყოვლად სამღვდელო გააკვირვა ამ  
პატარა ბავშვის თხოვნამ და, როდესაც მათი მეუ-  
ფება დარწმუნდა, რომ ბავშვის განცხადება ყველა-  
ფერი მართალი იყო, ძლიერ შეებრალა იგი, მო-  
წათლა და მიიღო აღსაზრდელად.

\* \*

თბილისის სამსახულო პალატის უფროსმა ბ.  
განჩაროვმა ამას წინედ განიძარხა მცირე წლოვან  
დამნაშავე ყმაწვილების თავ შესაუარი სახლს აღშე-  
ნება თბილისში, ამ საქმისთვის მან რამოდენიმე ათა-

სი მანეთი კიდევ შეჰკრიბა საზოგადოებაში. ამას  
წინედ გაზ. «კავკაზში» ჩვენ წავეითებთ, რომ იმე-  
რეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს  
მიუწერია უ. გონჩაროვისათვის და შეუთვლია, რომ  
თუ მაგ ხსენებული სახლის აღშენება დაწყებული  
იქნება ამ მოკლე დროში, მაშინ ათას მანეთს შე-  
მოვსწირავ ჩავ კეთილს საქმესო.

\* \*

მათ იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე  
იმპერატორს 10,000 მანეთი შეუწირავს მოსკოვის  
არქეოლოგიური საზოგადოებისათვის, რომ ამ საზო-  
გადოებამ ეს ფული მოიხმაროს ისტორიული ძველი  
შესანიშნავი ნაშთების გამოკვლევისათვის კავკასიაში.

\* \*

შმაღლესი მთავრობისაგან დიდ ძალი ფული  
არის გადაღებული, რომ ქუთაისის გუბერნიაში  
უწამლონ ვენახებს და რაიმე გზით მოსპონ ფილოქ-  
სტრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დანიშნული ფულები  
არ იხარჯება, როგორც სასურველია. მართალია,  
გაზ. «კავკაზში» დაბეჭდილი კორრესპონდენციები-  
საგან სჩანს, ვითომც ვენახები ყველგან იყოს გასინ-  
ჯული, მაგრამ ნამდვილად კი, არც მეთვლია გასინ-  
ჯული და დათვლიერებული. სასურველია, რომ  
ამდენი ფულის ხარჯვა ჯეროვანს და ზედ მიწვენით  
საქმის მცოდნე კაცებს მიენდოს, თუ ეს შესაძლებე-  
ლია ეხლანდელს დროში. დღეს თუ დანახარჯ ფუ-  
ლების შესახებ წარდგენილ იქმნა კვიტანციები მამა-  
სახლისებისაგან და ბოქაულებისაგან დამოწმებულნი,  
მეტე ვითომც არასფერი საჭირო არ იყოს. სამოცდა  
თექვსმეტში, რუს-ოსალთს ომის წინედ ერთი სომ-  
ხის გენერალი მოვიდა დ. ყვირილაში და მოსთხოვა  
მაშინდელს მაზრის უფროსს მისგან წარდგენილი ქა-  
ლოდის დამოწმება. ამ ქალოდში იყო ნათქვამი,  
რომ გენერალი ყვირილიდამ ორმოც ჯერ გავიდა  
სხვა და სხვა სოფლებში ადგილების დასათვლიერებ-  
ლად. ამ გენერალმა გაიარა 40 ვერსი და მოწმობ-  
აში კი 1600 ვერსი ჩაეწერა გავლილად. რამდენ  
პრაგონს“ მიიღებდა იგი, ეს მკითხველმა გამოიცნოს.

\* \*

ბ. ზაქარია ჭიჭინაძისაგან ჩვენ მივიღეთ სამი  
პატარა წიგნაკი, რომელნიც მას გამოუტია თავის  
ხარჯით. 1) ნ. ბანათაშვილის ლექსება; 2) ქართუ-  
ლი ქალბუკა და 3) რამდენიმე ლექსი ცახელისა. წიგ-  
ნაკები სუფთად არიან გამოცემულნი და ფაენიც  
მცირე ადევსთ. პირველი წიგნაკი ღირს 30 კ., მეო-  
რე—10 კ. და მესამე—15 კ. ამ წიგნების დაბარება  
შეიძლება თვით გამოცემლის წიგნის მალაზიიდან,  
რომელიც ქ. თბილისშია.

\* \*

მღვდლის მ. ალექსი არღიშვილისაგან ჩვენ მი-  
ვიღეთ შემდეგი წერილი ვახუშტი დასაბუქდა:

„ბმას წინედ ერთ ჩემს სამრევლოთაგანს ეპოვნა  
გზაში ერთი პატარა მათარა—ბოხჩა, რომელიც მე  
მომიტანა. ამ ბოხჩაში აღმოჩნდა ზოგიერთი საეკ-  
ლესიო-სამღვდლო ნივთები, რომელნიც მე შენ-  
ხული მაქვს ჩემდამო რწმუნებულს ზედ-მიწერილს ს.  
თვრინის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიაში. ვაცხა-  
დებ რა ამას, ვსთხოვ დამკარგელოს, მოვიდეს და  
მიიღოს ხსენებულნი ნივთნი.“

### სწავლა და მეცნიერება ქრისტი- ანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ხსენებაზედ.

როგორი პატივისცემით უნდა ვიცავდეთ ჩვენი  
მამა-პაპათა სასაფლაო აღვიღებ? \*)

ჩაზე ფიქრებით, მშინო ქრისტიანთა, რატო  
თქვენი წინა პარების სასაფლაო ადგილებზე გაივლით?  
მე უოკელთვის ამ ადგილებზე გაელის დროს მიფიქრია  
და ვფიქრობ კიდევ მასზედ, თუ როგორ გამოასვენე-  
ბენ ამავე გზაზედ ჩემს უსულა სსეულს; მასთან მე  
მაგონდება, რომ ამ სასაფლაოზე დიდი ხნიდან მკათ  
არის ადგილი ჩემი საფლავისთვისაც, რომელშიაც ჩას  
გუნებენ ჩემს გუბოს ჩემი უსულა გვამით; ვფიქრობ,  
რომ ამ სასაფლაოზე დარჩება ჩემი გვამი ქრისტეს  
მეორეთ მოსვლის დღემდის, ხოლო მაშინ სხვებთან  
ერთად აღვიდგები საფლავისაგან, რათა წარვსდგე უფლას  
საშინელსა და სამსჯავროსა წინაშე. უნდა გამოტყვი  
გსთქვა, რომ უოკელივე ეს წარმოდგენა ჩემში აადაჯდა  
მწუხარებას. მაგრამ მე ის კი არ მაწუხებდა, რომ ადრე  
თუ გვიან უნდა მოჭკვედე და დავიმარხო მიწაში; ეს გ-  
ნა ვინ არ იცის? განა სამწუხაროა ვისთვისმე თავის  
სამშობლო ქვეყანაში და თავის მამასთან დაბრუნება? მე  
მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ სასაფლაოს გზა ასე ძნელი  
საკვლია; წარმოვიდგენ ხოლმე იმასაც, რომ ჩემი გუბოს  
მატარებლების გულში უნებლიედ გაიღვიძებს მწუხარება  
და ნაცვლად ღოცვისა და კეთილის სურვილისა შეიძლება,  
ჩემზე წარმოსთქვან სუვედურნი და უკმაყოფილება,

\*) ეს სიტყვა ნათქვამია ხერსონის და ოდესის მთავარ-  
ეპისკოპოსის დიმიტრისაგან.

რადგან ეს სასაფლაო ადგილი ამისთან სამწუხარო და  
სასაფლაო მდგომარეობაშია. შეძლება ჩემი საფლავიც  
ისე დავიწყებული შეიქნეს, როგორც სხვა სასაფლაოებია  
დავიწყებული და მიურთუბული, რაიცა არ შეჭტურის  
ქრისტიან გაცის სასაფლაო ადგილს. ნუ ასეთი თუ  
ფიქრი და წარმოდგენა მარტო მე შებადება თავში?  
ნუ თუ რომელიმე თქვენგანს, მშინო ჩემნო, არ მოსკლია  
თავში ასეთი ფიქრი, რატო სედავთ, რომ ის ადგილი,  
სადც განსვენებენ გარდაცვლებულნი მშობელნი და  
ნათესავნი თქვენი, ისე უმატიურად არის მიტოვებული?  
ესლა ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ, თუ როგორი  
სიწმინდით და ჰატივისტებით ეპურობოდნენ სასაფლაო  
ადგილებს ძველს დროში.

ძველს დროში უოკელი ხალხი სარწმუნოების  
გაურჩევლად დიდ ჰატივისტება თავიანთ მამა-პაპათან  
სასაფლაო ადგილს. არაფერს ვიტყვი წმიდა მამებზედ,  
რომელნიც სტოკრებდენ და სასოებით აღესრულენ  
საუფრო ცხოვრებისთვის, არას ვიტყვი ებრთვე ებ-  
რალებზე, რომელნიც დიდ ჰატივისტებად მშობლების  
სასაფლაო ადგილებს. ძველ დროში თვით წარმართნი არა-  
ვითარ დანეს არ შურავდნენ, ოდონდა თავიანთი მშობლების  
სასაფლაო ადგილები შესაფერათ შექმნათ. ისინი უფრო  
ზრუნავდენ სასაფლაოებზე, ვინემ თავის საცხოვრებელ  
სადგომებზე. დაუკვირდით, თუ როგორი კეთილ-მარწი-  
წებით მიესწავებოდა იუდაიანნი თავის მამების გვამის  
თავისის საცემლად! მაქციეთ უურადლება მამებისა, თუ  
რომელნიც შესაფერად ამგობენ თავიანთი წინაპრების  
სასაფლაო ადგილებს. თვით ველური ხალხიც კი ცდი-  
ლობს შემოღობოს თავის მშობლების სასაფლაო ადგი-  
ლები და ამით დაცვას ისინი წესაიყვად. ასეთივე ჰატივისტ  
ეპურობოდნენ თავიანთ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილებს შირ-  
ველი ქრისტიანნიც. მათ ეს სასაფლაოები წმიდა ადგილებად  
მიანდათ. ამიტომ იგინი უმეტესად სასაფლაოებზე ე-  
რიბებოდნენ საზოგადო ღვთის-მსახურების შესასრუ-  
ლებლად; ამ სასაფლაო ადგილებზე იყო ხოლმე აგე-  
ბულნი სამსხვერპლანი უსისსლო მსხვერპლის შესაწი-  
რავად ცოცხალთა და მიცვლებულთა მოსახსენებლად;  
ამ გავრ ადგილებზე აშენებდენ ტაძრებსაც. წმიდა ეგვლე-  
სიამ მიიღო ქრისტიანე სასაფლაო ადგილები თავის  
განსაკუთრებულ მთავრელობასა ქვეშე, რათა იგინი არ  
გაუმატიურებულყვენ განთავან. ქრისტეს ეგვლისია  
ითხოვს, რათა ჰატივისტ ვეპურობოდეთ ჩვენ მამა-პაპათა  
სასაფლაოებს. ჩვენ ვაღვებულნი ვართ წმიდა ეგვლისის  
დადგენილობათა ძლით, რომ სასაფლაო ადგილები შე-  
მოკლებოთ და რიგინად დავიცვით, თუ არ გვიანდა  
დავიმსახუროთ ის წეება, რომელიც ხვედრია უველ

მითათვის, რომელნიც უმეტესად ეპყრობიან სასაფლაო ადგილებს.

ესა განვიხილოთ, თუ რა არის სასაფლაო? სასაფლაო არის ადგილი, სადაც განისვენებენ ჩვენი მამა-მამანი, ჩვენი ძმანი და ნათესავნი, ჩვენი მეგობრები და კეთილის-მყოფელები. ბუნებრივი გრძნობა, ქრისტიანობრივი სიუკარული, სუული ღვთისა და სინდისიერ მოითხოვს პატივს უსტუმრეთ როგორც მათ, ისე მათ განსასვენებელ ადგილებს; უკეთუ მათი დროებით საცხოვრებელი ადგილები შვიდგანსი არიან ჩვენთვის, მით უმეტეს სიკვდილის შემდეგ უფრო უპირობესი არ უნდა იყოს მათი საუკუნო განსასვენებელი ადგილები? შენ არა ხარ ის პატივცემული შვილი, რომელიც აქ რომ მამა შენს სასაფლაოზე, სიუკარულობით ესვენადი იმის საფლავს, კურდნობადი თვით მიწას და ამბობდი, რომ შენ არ დაივიწყებდი იმ ადგილს? მაშინ შენ მითაღს ამბობდი, უთუოდ წმიდა იყო შენთვის ის ადგილი, ვინაიდგან ფარავს იმს, ვინც შენ დაგბადა ქვეყანაზედ, ვინც შენ აღვარდა საცხოვრებლად, ვინც შენ დაგიტოვა უკვდავად, რასაც შენთვის იყო იგი ქვეყანაზედ. მაგრამ შენ მოშორდი თუ არა სასაფლაოს, მაშინვე დაგვიწყდა შენგან არა დასავიწყებელი საფლავი და სრულიად უგრძობას აღარ აქცევ, რომ წმიდათ დაიცო გვაში მისი. შენ ის ნაზი შეუღლე არა ხარ, აქ რომ შენს საფლავს შეუღლას სასაფლაოზე, მწარედ სტირდდი, აფრქვევდი მის საფლავს ცრემლებს, უწოდებდი მას სიუკარულობის მსხვერპლად, შენთვის მუდამ საუკრელ მტკუნად? შენ მაშინ ღამრავობდი მართლს; უთუოდ შენთვის საუკრელი უნდა იყოს ეს ადგილი, ვინაიდგან მის ქვეშ შენ დასაფლავე თითქმის ნახევარი შენი სიცოცხლე. გარდა, როგორც ვი მოშორდი სასაფლაოს, დაგვიწყდა შენი სიტყვები და გულ-გრილად უნქვრი გაუპატიურებულს შენი მუღღლას საფლავს! შენ არა ხარ სამადღოთ აღზრდილი ობოლი, აქ რომ შენ კეთილის მომხმედს-საფლავებდი, სტირდდი მწარედ და ამბობდი, რომ შენ ვითამც ერთად მასთანვე საფლავებ უოკელივე შენს იმედს? განა რა შეემთხვა ამ შენგან არა დასავიწყებელ ადგილს? შენ ვეღარც ვი ცნობულად შენთვის შვიდგანსი საფლავს სხვა საფლავებთან შორის და უფურცე გულგრილად, თუ როგორ უწესოდ ითქმობა იგი სხვა-და-სხვა ცხოველთაგან. ერთის სიტყვით, თითოეულიც ჩვენგანმა უმეტესად აქ დასაფლავა რომელიც ნაწილი თავისი გულისა.

რა არის ქრისტიანეთა სასაფლაო ადგილი? იგი

არის უან ღვთისა, სადაც ითესებიან ჩვენი სხეულები მომავალი ადგომისათვის. ჩვენ ხშირად ვამბობთ: მიცვალებულებისათვის სულ ერთია, სადაც უნდა იყვნენ დასაფლავებულნი, დაცული იქნება თუ უპატიურად მათი უგრძობელი გუამები ვერას იგრძნობენ. არ ვიცი, სულ ერთია თუ არა მიცვალებულთათვის, მაგრამ ის ვი ვიცი, რომ ცოცხლებისათვის ვი სულ ერთია არა, ს გულგრილად უფურცე მიცვალებულთა სასაფლაოებს. მართალია, რომ უოკლად შემძლებელი ღმერთი მოუწოდებს ადგომისადმი უოკელი მხრით გადგვალებულებს, რომ მიწა და წყალი მისცემენ მათადმი მიცვალებულებს, მსერებიც და და თევზებიც მიაქცევენ მათ მიერ შთანთქმულთა, მაგრამ ჩვენ ვი უნდა გავსოვდეს, რომ ქრისტიანეთა სასაფლავები არიან სახელდობ წმ. საუნჯე ჩვენი მომავალი ადგომისა. გარდა რა იმარხება აქ? ქრისტიანე გარდაცემი ანუ სხეული, — ის სხეული, რომელიც განხანილია წმიდა ნათლისღების წყლით, ცხებულა წმ. მიწრნათ სულისა მიერ წმიდასა და რომელიც იზრდებოდა წმ. იესო ქრისტეს სოცრითა და სისხლით, — ის სხეული, რომელსაც წმიდა მოციქული ზაქე უწოდებს ტამად სულისა წმიდასა. — ის სხეული, რომელსაც იგივე მოციქული უწოდებს ქრისტეს გავის ნაწილად. დაშთებოდა თუ არა დაუსჯელად ის, ვინც შეგინებდა იესო ქრისტეს გავის, რადესაც იგი იდგა საფლავში ჯვრიდგან ჩამოლებული, რადგან იგი იყო უსულა, ვითარცა უოკელივე მიცვალებულის გავი? რასკვირველია დაუსჯელად არ დაჩხება ის, ვინც შეურაცხყოფს ქრისტიანე გარდაცემის როგორც სიცოცხლის ანუ სიკვდილის დროს. რატომ ვასაფლავებთ ჩვენ ჩვენს გადგვალებულთა სხეულს? მომავალი ადგომისათვის დიდებასა შინა: «დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნილებით; დაეთესვის გინებით და აღსდგების ღიღებით; დაეთესვის უძლოურებით და აღსდგების ძლიერებით; დაეთესვის ხორცი მშენიერი და აღსდგების ხორცი სულიერი». (1 კორ. თავი 15 მუხ. 42, 43, 44). ხედავ როგორი დაუფასებელი შეცდომი ნაყოფის თესლია აქ დათესილი? შენი შრომით მომავალი და დათესილი რომელიც მკითხასი და იშვითი ნაყოფი რომ დაგიოულას ვინმემ, განა დაუსჯელად დასტოვებ მას? ცხადია, რომ არა. როგორც ვთქვამრბ, განა უფალი იესო ქრისტე ვი გულგრილად მოპყრობა და დაუტოვებს დაუსჯელად აქ დათესილი თესლის გავაუპატიურებულს, იმ თესლისას, რომელიცა დასავიწყდა არა ვერცხლითა და ოქროითა, არამედ

მისის პატიოსანი სისხლითა, რომლისგანაც აღარძინდება და აჭყვავდება ოდესმე უკვდავება, საუფრო ტნობება და ღვთიერ-მამისტაკსეულა დიდება? ამიტომ დაუდგამთ თუ არა ფეხს ქრისტიანეთა სასაფლაოზე, მშინვე უნდა მოგაგონოთ სიტყვა ღვთისა, რომელიც მან რქვა მოსეს: განიძვრე ხამლი შენი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადვილი ესე, რომელზედაც შენ დგახარ, წმიდა არსა.

რა არის ქრისტიანეთა სასაფლაო? იგი არს წმიდათა განსასვენებელა ადგილი. უფკელი ქრისტიანე კაცი იწოდება წმიდად, როგორც განთლებული მადლითა ღვთისათა და ეს მიცვალებულთა განსასვენებელი ადგილებიც წმიდათ უნდა იყოს დატული უფკელგარკი უპატიურობისაგან.

სშირად ვიტყვით ხოლმე ჩვენ, რომ მიცვალებულნი ვერ სედევენ, არ ესმისთ და არც გრძნობენ. მაგრამ კსტყუით, როცა ასე კსჯით. ღვთის წინაშე ცოცხალნი არიან ყველა აქ დასაფლავებულნი მამანი და მამანი ჩვენნი. სად არიან იგინი ესლა? იქ, სადაც შეიწირება მათთვის უსისხლო მსხვერპლი, იქ, სადაც მდგომარეობენ მთავარ-ანგელოზსა და ანგელოზსა და სადაც ერთად მათთანვე მდგომარეობენ გარდაცვალებულნი მამანი ჩვენი, — პირველნი გალობით მადლობელნი და მეორენი შესაწუნარებელი ღოცვებით მადიდებელნი.

მე შეეძრწუნდება ხოლმე, მძინო ჩემნო, როდე-საც წარმოვიდგენ, რომ მათი სულიერი თვალი მოქცეულია ჩვენდამო, ჩემზედ და თქვენ, მსმენელებზედაც, რომ მათი ყურადღება მიქცეულია ესლა მასზედ, თუ როგორ იმოქმედებს ჩემი სიტყუები თქვენს გულში: აღიძრება თქვენში სურვილი წმიდათ დაიცოთ თქვენი მამა-პაპების სასაფლაო ადგილები, თუ არა? ანუ ოუ დაჩება იგი ისევე უეურადღებოთ? რითი მოვიხდით ბრადის და გავიმართლებთ თავს მათ წინაშე? საშუალებათა უმექონლობით? როგორ შეგვიძლია მოკატყუოთ იგინი? განა ვერ სედევენ, თუ როდეხს კსრჯავთ ჩვენ უბრალო და უსარგებლო ნივთებში? განა არ იციან მათ, თუ როგორი გულმოდგინებით ვინასკოთ და ვამკობთ ამა წუთი-სოფლის საცხოვრებელ ადგილებს? განა არ შეუძლიათ მათ გვითვისონ ჩვენ: ყველაფერი, რაც რომ გაგვიჩნდა ჩვენ სიცოცხლეში, დაგიტოვებთ თქვენ, არასოვრი არ წაგვიღია თან და არც

ესლა გთხოვთ რამეს. მხოლოდ ერთს ბეჭედრებით თქვენ, ნუ შეაბილწებთ ჩვენს გვაშებს, ნუ მისცემთ დაიწყუებას ამ ჩვენ განსასვენებელ სასაფლაო ადგილებს და ნუ გააუბტიურებთ მათ, ვ. ნ. დ. გან იგი არის თქვენი განსასვენებელი ადგილიც. ღვთის ტაძარს გარდა, შეიძლება სხვა გარეშე ადგილებში სრულიად არ უფაფიყოთ როდეხმე, განა აქ ამ ადგილზედ ადრე თუ გვიან უსთუოდ მოგიტანებენ და დაგასაფლავებენ მომავალი ჩვენი ადგომისათვის დიდებასა შინა.

(რუსულიდან).

მღვ. რ. გორგაძე.

### გ ა ნ ს ხ ა დ ე გ ა .

დეგანოზი დავით დამბაშიძისგან გამოცემული დარიგება საღმრთო სჯულის სწავლამაჲმად,

რომელიც უწმიდესი სინოდისგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში და მასთანვე ყველა მის მიერ გამოცემული წიგნები ისეიდებიან: თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხილიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში: «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჰილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში, დანჩხუთში: ნიკოპილადესთან, ყვარიალაში — თვით გამოცემელთან.

«მწყემსი»-ს რედაქციაში შეიძლება სცილდა წარსული წლების რამდენიმე მთელი «მწყემსი»-ს და «Пастырь»-ის გამოცემათა. თითოეული მათგანი ღირს სამ მანეთად მთელი წლისა.

შინაწისი: «სასულიერო მასარებელი საეკლესიოსისა». — სასულიერო გამოცემაებულნი. — „მწყემსი“ — ს კარკეს-პონდენტია სოფ. დორეშიდამ. — რუსეთის მართლ-მადიდებელი ტაძარი ვენაში. — ექვთიმე სელაძის ახარებული წერილისა გამო. — მღვდლის საიდუმლო. — ლექსი. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენაშენები. — როგორი პატივისცემით უნდა ვიტავჯეთ ჩვენ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილებს. — განცხადებანი